

საქონლის წარმოშობის სერტიფიცირება

ექსპორტის განხორციელებამდე, საქართველოში წარმოშობილ საქონელზე ექსპორტიორმა უნდა მიიღოს წარმოშობის სერტიფიკატი. DCFTA მიზნებისათვის საქონლის სერტიფიცირებას ახდენს საბაჟო ორგანოები ქვეყნის მასშტაბით არსებულ საბაჟო გაფორმების მომსახურების ცენტრებში (2014 წლის 1 სექტემბრამდე ევროკავშირში საექსპორტო საქონლის სერტიფიცირებას პარალელურად აკეთებდა 3 სხვადასხვა უწყება: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სავაჭრო სამრეწველო პალატა და საბაჟო. დღესდღეობით ეს უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მხოლოდ საბაჟო სამსახურს).

სერტიფიცირების მიზნით ექსპორტიორმა უნდა მიმართოს საბაჟოს და წარადგინოს საექსპორტო საქონელთან დაკავშირებული კომერციული დოკუმენტაცია.

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე
პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ბანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net / www.eugbc.net



EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული თამისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული საქონლის წარმოშობის წესები

ბონდო ბოლქვაძე

ექსპერტი საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობის საკითხებში

ზოგადი მიმოხილვა:

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საქონლის წარმოშობის მცნება:

თავისუფალი ვაჭრობის ფარგლებში საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლდება მხოლოდ საქართველოში წარმოშობილი საქონლის ევროკავშირში ექსპორტი.

იმისათვის რომ საქონელი ჩაითვალოს საქართველოში წარმოშობილად, ის მთლიანად საქართველოში უნდა იყოს წარმოებული ან საქართველოში უნდა ჩაუტარდეს ბოლო მნიშვნელოვანი გადამამუშავება, რომლის შედეგადაც საქონელი იღებს საბოლოო სახეს.

წარმოშობის წესები:

იმისათვის, რომ საქონელმა ისარგებლოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმები, რომელიც განისაზღვრება შეთანხმებაზე თანდართული ოქმით.

➤ **მთლიანად ქვეყანაში წარმოებული საქონელი** იგულისხმება ქვეყანაში მოყვანილი ან შეგროვებული ბოსტნეული და ხილი, ქვეყანაში გაჩენილი და გაზრდილი ცოცხალი ცხოველები, ქვეყანაში მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული. ყველა ზემოთაღნიშნული საქონლის გადამამუშავებით მიღებული ნებისმიერი სხვა საქონელიც მთლიანად საქართველოში წარმოებულად ჩაითვლება.

➤ **სასაქონლო პოზიციის (HS Code) პირველ ოთხნიშნა დონეზე ცვლილება** ნიშნავს, რომ საქონელი რომელიც მთლიანად არ არის საქართველოში წარმოებული, მაგრამ გაიარა გადამამუშავების მნიშვნელოვანი ეტაპი ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად, თუ საქართველოში გადამამუშავების შედეგად შეიცვალა საქონლის ნომენკლატურული კოდი პირველი ოთხი ნიშნის (პოზიციის) დონეზე. შესაბამისად საქართველოში შემოტანილი გადასამამუშავებელი საქონლის და მასალების ოთხნიშნა კოდი უნდა იყოს საბოლოო გადამამუშავებული საქონლის ოთხნიშნა კოდისგან განსხვავებული.

➤ **ადვალური (ღირებულებითი) წილის** კრიტერიუმი განსაზღვრავს საბოლოო პროდუქციაში იმპორტირებული მასალების ხვედრით წილს. მაგალითად, იმისათვის, რომ მობილური ტელეფონი ჩაითვალოს საქართველოში წარმოშობილად, მის წარმოებაში დასაშვებია იმპორტირებული მასალების გამოყენება, რომელთა ღირებულება არ აღემატება საბოლოო პროდუქციის ფრანკო-ქარხნის (EXW) ფასის 40%-ს.

➤ აუცილებელი პირობები, საწარმოო და ტექნოლოგიური ოპერაციების კრიტერიუმის თანახმად, პროდუქციის წარმოების პროცესში იმპორტირებულ მასალაზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს ოქმით განსაზღვრული ტექნოლოგიური ოპერაცია ან ოპერაციათა ჯგუფი. მაგალითად, მამაკაცის პერანგი ჩაითვლება საქართველოში წარმოშობილად, თუ წამოების პროცესი იწყება ქსოვილის დამზადებიდან და მოიცავს ყველა ეტაპს საბოლოო პროდუქტის მიღებამდე. აღნიშნული პირობა არ გამოირიცხავს სხვა ოპერაციების შესრულებასაც. საბაჟო გაფორმების შემდგომი აუდიტი უკვე არსებობს საქართველოში, მაგრამ აუცილებელი იქნება ამ რგოლის გაძლიერება ისე, რომ საბაჟო კონტროლის ძირითადი ტვირთი მოდიოდეს სწორედ გაფორმების შემდგომ აუდიტზე. ეს გულისხმობს შესაბამის პროცედურულ ცვლილებებს საბაჟოს ადმინისტრაციის რეგულარულ საქმიანობაში. კერძოდ, ზოგიერთი სახის კონტროლი (ძირითადად საბუთების შემოწმება) გაუქმდება ან შესუსტდება განბაჟების პროცესში და განხორციელდება საქონლის გაშვების (განბაჟების) შემდეგ.